# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 368. კვირა, 11 დეკემბერი 1905 წ. გაზეთის № 2969.


# აღსარება

მ. გორკისა

მე მომივიდა რამდენიმე წერილი სხვა-და-სხვა პირისაგან,— ყველას ისტერიკა ატყვია, ყველაში აღელვებული კილოა გატარებული, ბნელი, მთრთოლვარე შიშით არის გაჟღენთილი. აშკარაა, ამათ ავტორებს მძიმე დღე დასდგომიათ, სჩანს, ბევრი მწვავე აზრი სჩხვლეტავს მათ გულს, უფრთხობს მათ ძილს.

„... რა მოუვიდა რუსის კეთილს ხალხს, რა მიზეზია, რომ იგი სისხლის მსმელი მხეცი გამხდარა?“—მეკითხება ერთი მანდილოსანი, მის მიერ მოწერილ, სურნელებით გაჟღენთილ, ძვირფას ქაღალდზე.

— აღარ ახსოვთ ქრისტე და მისი მოძღვრება, გათელილია სიყვარული, აღარაა პატივისცემა ადამიანისადმი“.— იწერება „აზნაური ფ.“ სუმიდან და ჰსურს გაიგოს, კმაყოფილი ვარ, თუ არა მე ამ ამბებით?

— სად არის ნაყოფი ქადაგებისა მოყვასთადმი სიყვარულზე, სად არის ეკლესიისა და სკოლის გავლენა?—მეკითხება ტამბოველი ბროვცინი.

ზოგი მლანძლავს და სიკვდილს მემუქრება, ზოგი მხოლოდ სჩივის და ჰგოდებს, ყველა აღელვებულია, ყველას უჭირს და უმძიმს, ყველას აცახცახებს დღევანდელ ტრაგიკულ დიდებულ დღეს.

არ შემიძლია თვითეულს ცალკე გავსცე პასუხი და ამიტომ ყველას ვუპასუხებ საერთოდ.

დადგა ჟამი ანგარიშის გასწორებისა, ბატონებო, დადგა დრო, როცა ჯეროვანი სასყიდელი უნდა მიიღოთ ხალხის ცხოვრების უყურადღებობისათვის. ყველაფერი, რასაც გრძნობთ, ყველაფერი, რაც თქვენ გაწვალებთ და გაწუხებთ, ყველაფერი ახია თქვენზეა ყველაფერი დამსახურებული გაქვთ. მე შემიძლია გითხრათ მხოლოდ ერთი რამ, მხოლოდ ერთი რამ გისურვოთ, რომ უფრო ძლიერ, კიდევ უფრო ღრმად შეისისხლხორცოთ, შეიგნოთ, განიცადოთ ამ თქვენს მიერ შექმნილ ცხოვრების მთელი საშინელება. დეე, შიშით თრთოდეს თქვენი გული, დეე, ძილის მაგიერ, გეხუთოდეთ სული, დეე ცეცხლივით გედებოდესთ და გწვავდეთ თქვენ ყოველივე საშინელი და მკაცრი— თქვენ ამის ღირსნი ხართ. ეს ან მთლად დაგლუპავთ, ანა და,—შესაძლებელია,—გასწმინდოს ტალახისა და სიფლიდისაგან ყოველივე პატიოსანი და სადი, თუ რამ დარჩენილა თქვენს სულში, რომლის დაცვისთვის ასე ცოტას ზრუნავდით და რომელსაც სიხარბითა, მედიდურობითა, სიცრუითა და ყოველნაირ სიბინძურით ავსებდით.

ქალბატონო! თქვენა გსურთ გაიგოთ, რა მოუვიდა ხალხს? მან დაჰკარგა მოთმინება; დიდხანს სდუმდა, დიდხანს გაუნძრევლად ითმინა ძალმომრეობა, მოთმინებით ატარებდა თქვენს ცხოვრებას თავის მონურ ზურგით და აი—მეტი აღარ შეუძლია! მას ჯერ კიდევ არ მოუშორებია მთლიანად ის უღელი, რომელშიაც იგი ძალად შეაბეს—ჯერ კიდევ ნაადრევია თქვენი შიში, ქალბატონო!

რატომ—ვსთქვათ გულახდით—რატომ არ უნდა გამხეცებულიყო ხალხი? რა გააკეთეთ საიმისო, რომ დაგეცვათ იგი გამხეცებისგან?. ასწავლეთ მას რამე გონივრული, რაიმე კეთილი დაგითესიათ მისს გულში?

მთელს თქვენს სიცოცხლეში მისს შრომას ითვისებდით, მიგქონდათ მისი უკანასკნელი ლუკმა, მიგქონდათ სრულიად ადვილად, უბრალოდ, არ გესმოდათ, რა მიგქონდათ, სცხოვრობდით, მაგრამ ერთხელაც-კი არ გიკითხავთ თქვენი თავისთვის, რითი, ვისი ძალითა და შრომით ცხოვრობდით. თქვე თქვენის მოკაზმულობით აბრაზებდით მშიერსა და ლატაკს ხალხს, როცა აგარაკათ გახვიდოდით ხოლმე სოფლად, გლეხებთან ახლოს, გლეხები თქვენს თვალში რაღაც უმდაბლეს ხარისხის ადამიანები იყვნენ. გლეხებს ესმოდათ ყველაფერი ეს, ისინი სა-



ქრისტე უდაბნოში.—სურ. კრამსკოისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმაოდ გრძნობიერი და შეგნებულები არიან და არც იმდენად გაბოროტებული, მაგრამ იქამდის მიიყვანეთ, რომ გააბრაზეთ ბოლოს. და ეს აუცილებელიც იყო; როგორ შეიძლება მადლობა გითხრან მშიერ-მწყურვალებმა იმისათვის, რომ მათ თვალწინ განცხრომასა და ქეიფში ატარებთ დროებას. თქვენს სიმღერასა და მუსიკას არ შეეძლოთ გაეკეთილშობილებინა მშიერი, თქვენ ზიზღს გლეხისადმი არ შეეძლო აღეზარდა მისს სულში თქვენდამი პატივისცემა· რითი ემსახურეთ თქვენ გლეხს? იზრუნეთ როდესმე, რომ გლეხს უფრო მოსიყვარულე და ნაზი გული ჰქონოდა? არასოდეს; თქვენ სიმკაცრით აუვსეთ მას სული. თქვენ არასოდეს არ გიფიქრნიათ, რომ გლეხს ჭკუაგონება გახსნოდა. გლეხი თქვენთვის მუშა პირუტყვი იყო, ზოგჯერ მითი ერთობოდით, როგორც ველურით, თავის დღეში გლეხისთვის არ შეგიხედნიათ, როგორც ადამიანისათვის და, რაღა გასაკვირველია, რომ იგი მტერია თქვენთვის.

ქალბატონო! თქვენი კითხვა ამტკიცებს, რომ თქვენ არამც თუ ცხოვრებას არ იცნობთ, არამედ ორგულობთ კიდეც, ორგულობთ, როგორც ცოდვილი, რომელიც უკვე გრძნობს თავის შეცოდებას, მაგრამ ჯერ კიდევ არა სურს გულახდით აღიაროს და მოინანიოს იგი.

თქვენ კარგად იცოდით, არ შეგეძლოთ არ გცოდნოდათ გლეხის ყოფა-ცხოვრება. ადამიანი, რომელიც ცემა-ტყეპის მსხვერპლი გამხდარა, ადრე თუ გვიან, სამაგიეროს გადაიხდის, ადამიანს, რომელიც არ ებრალებათ, არ შეუძლიან სხვისი შებრალება, ეს აშკარაა. უარესი კიდევ — ეს მართალია. გაიგეთ რას გეუბნებით, საშინელება ის კი არაა, რომ იცემებიან, საშინელება ისაა, რომ არ შეუძლიათ არა სცემონ, საშინელება ის კი არაა, რომ არ ებრალებათ ხალხი, არამედ ისა, რომ არ შეუძლიანთ შეიბრალონ.

როგორ შეგიძლიათ სიბრალულის ძებნა იმ გულში, რომელშაიც შური და მტრობა გითესიათ.

კიევში, ქალბატონო, რუსის გულკეთილმა ხალხმა ბროდსკის სახლის ფანჯრებიდან ბავშვების აღმზრდელი ქალი გადმოისროლა ავეჯეულობასთან ერთად და ფრთხილად შეინახა იქავე გალიაში მჯდომარე ჩიტი. დაფიქრდით, ქალბატონო, პატარა ყვითელმა ჩიტმა კი გამოიწვია რაღაც სიბრალულივით, ადამიანი-კი ფანჯრიდან გადმოაგდეს. როგორც ეტყობა, სიბრალული არ გამქრალა რუსის ხალხის გულში, მაგრამ ადამიანმა, ალბად, ვერ დაიმსახურა იგი, აი სად არის საშინელება და ტრაგედია, ქალბატონო! ხართ-კია დარწმუნებული თქვენს უფლებაში მოითხოვოთ ისე მოგეპყრან როგორც ადამიანს, მაშინ როდესაც მთელი თქვენი სიცოცხლე ისე გაგიტარებიათ, რომ არ იცოდით, რა იყო ადამიანის შებრალება, შეწყალება, არა სცნობდით მასში თქვენს თანასწორს არსებას?

თქვენ წერილებს სწერთ, ეტყობა, წერა-კითხვა იცით, ალბად, წაიკითხავდით ისეთ წიგნებს, რომლებშიაც აღწერილი იქნებოდა გლეხის ცხოვრება? რას ითხოვთ თქვენ გლეხისაგან, თუ იცოდით როგორ სცხოვრობდა იგი და ვერ შესძლეთ გაგეუმჯობესებინათ მისი ყოფა? და აი, თვითონ გლეხმა შესცვალა თქვენი ცხოვრება, გააფუჭა იგი და გაიძულათ აგეღოთ ხელში კალამი და ხელის კანკალით მიგეწერათ სასოწარკვეთილებით აღსავსე წერილი ისეთ კაცისთვის, რომელიც, — თქვენ ვალდებული ხართ იცოდეთ, — არ მოისურვებს გაჰფანტოს თქვენი შიში, არ მოისურვებს ნუგეში გცეთ არასოდეს, არა!

დიახ, დადგა დრო შურის ძიებისა და ეს სრულებით ბუნებრივია. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც დღემდე მათრახებითა და ჯოხებით უმასპინძლდებიან ადამიანთ, სადაც იქამდისინ სცემენ ხალხს, სანამ იგი სიკვდილის პირზე არ მიდგება, სადაც გვერდებს ამტვრევენ, პირისახეში უთხლაშუნებენ გართობის გულისთვის, სადაც ადამიანის გათელვას, მაზე ძალმომრეობას არ აქვს საზღვარი, სადაც ათასნაირი ფორმა შეუმუშავებიათ მხეცურ წვალებისა. ხალხი, აღზრდილი სკოლაში, რომელიც ისე წააგავს ჯოჯოხეთის წვალებას, უმგვანოდ გამოხატულს ქაღალდზე, ხალხი აღზრდილი მუშტიკრივისა და ჯოხ-მათრახების საშუალებით, არ შეიძლება იყვეს გულმოწყალე დე ლმობიერი. ადამიანი, ფეხებით გათელილი პოლიციის ნაწილში, ეჩვევა გათელოს თავისივე მსგავსი. იმ ქვეყანაში, სადაც ამდენი ხანი გამეფებული იყო უუფლებობა, უძნელდება ხალხს უცბად შეითვისოს უფლების ძალა. არ შეიძლება სამართლიანობა მოვსთხოვოთ ხალხს, რომელიც არ იცნობს მას. ეს უნდა გვესმოდეს, ეს იმდენადვე უბრალოა, რამდენადაც უწყალო და მკაცრი. ყველაფერი ბუნებრივია, სადაც საზოგადოება და თქვენ, ქალბატონო, დაუსჯელად სჩადიოდით ყოველგვარ სიავეს, ყოველსავე საშინელებასა და ძალმომრეობას ადამიანებზე. ისინი ეხლა უფრო ღრმად გრძნობენ ყველაფერს და ერთი გადაკრული სიტყვა ან შეხედვა თქვენ მოსამსახურე ქალზე ეთანასწორება შემოკვრას, რომლითაც მამა თქვენი უმასპინძლდებოდა თავის ლაქიას ამ ორმოცდაათის წლის წინად. ადამიანები იზრდებიან და მათში იზრდება ღირსების გრძნობა, მაგრამ, მათ ჯერ კიდევ ისე ეპყრობიან, როგორც მონებს და პირუტყვს ჯერ კიდევ აქვს მათში ადგილი.

ნუ ითხოვთ, ქალბატონო, ადამიანებისგან იმას, რაც თქვენ მათთვის არ მიგიციათ. თქვენ არ გაქვთ ნება შებრალება ითხოვოთ, რადგანაც იგი უცნობი ხილია თქვენთვის. ხალხს აწვალებდნენ და აწვალებენ ყველანი, ვისაც-კი ერთი მისხალი ძალა მაინც ჰქონდა ხელთ. ახლა კი, როცა ჩვენის გამოთაყვანებულის მთავრობის წყალობით სახელმწიფოში ანარქია გამეფდა, ყველა ბნელმა ძალებმა იგრძნეს, რომ ის ძალა, რომელიც მთელის საუკუნოებით სჭყლეტავდა მათ, ის ძალა მხოლოდ მოჩვენება ყოფილა, და აი წამოჰყვეს თავი, წამოდგნენ და შურს იძიებენ ყველა იმისთვის, რაც თავს გადახედიათ უუფლებობის გრძელ ღამეში.

მაგრამ ჩვენს ქვეყანას აქვს მეორე, ნათელი ძალა, გაცისკროვნებული დიადის აზრით, გამსჭვალული და შეპოჭვილი აშკარა ოცნებით სამართლიანობისა, თავისუფლებისა და სილამაზის სამეფოპელოზე, მაგრამ, ეეხ... რა გელაპარაკოთ, ქალბატონო, ვინც ბრმად შობილა, არ შემიძლია მას სიტყვებით გადავსცე სიმშვენიერე და სიდიადე ზღვისა...

ის ადამიანები, რომელნიც ლაპარაკობენ და სწერენ მოყვასისადმი სიყვარულზე, მუდამ ღრმად მეზიზღებოდნენ, როგორც ორგულნი და ცრუნი — კარგად ვიცნობ ცხოვრებას, რომ მაგათი რამე დავიჯერო.

ეხ! ეცადეთ, ბატონებო, მოიკრიბეთ იმდენი სიმამაცე, რომ სიმართლის ლაპარაკი შეიძლოთ! ყველაფერი ცხადია, ყველაფერი აშკარაა.

როცა თქვენ სიყვარულზე ლაპარაკობთ, თქვენ თქვენის ტკბილი სიტყვებით გინდათ მხოლოდ ჩააჩუმოთ შიმშილისაგან გამწარებულნი, თქვენა გგონიათ, რომ თქვენს მიერ გამძვინვარებულსა და დაჩაგრულებს თუ სიყვარულზე უქადაგებთ და მათ გულს მოულბობთ, ამით დაასუსტებთ ძალას მათის სამართლიანის შურისძიებისას. თქვენ ორგულობთ, როცა ძმებს უწოდებთ იმ ადამიანებს, რომელნიც გაატყავეთ, თქვენ სტყუით, როცა სიყვარულს უქადაგებთ ისეთს ადამიანებს, რომელთა გულში თვითონ თქვენ დასთესეთ სიხარბე, სიძულვილი და ბოროტება.

რასაკვირველია, გულწრფელი ხართ, როცა თქვენს მოყვასთ ურჩევთ შეგიყვარონ თქვენ. მაგრამ ამ თქვენს სიტყვებს უკან ნამდვილი შემდეგი სიტყვები ამოჰფარებია: ითმინეთ, ნუ აღელდებით, უსიტყვოთ ზიდეთ მძიმე ლოდი შრომისა, დამცირებისა, სიღარიბისა, უსიტყვოდ სწიეთ უღელი, რომელშიც ჩვენ შეგაბით. მაგრამ უსირცხვილოთ სტყუი ყველანი, როცა თქვენს მონებს, ევუბნებით ჩვენც გვიყვარხართო.

## სომეხ-თათართა შეტაკება ტფილისში




მილიციონერები აცილებენ მაჰმადიანებს თავიანთ ბინაზე.

სტყუით, მონების სიყვარული შეუძლებელია. მონები შეიძლება გძულდეთ ანა და გეშინოდეთ მათი.

და აი, სწორედ იმიტომ ასწავლით მონებს სიყვარულს, რომ ცახ-ცახებთ მათ წინაშე.

სახარება? სადღაა სახარება, მისი ფურცლები დიდი ხანია გათითხნილია მოძალათეთა ტალახიანის ხელებით, მისი სიმართლე აღგულია ორგულების მიერ, მაგრამ თქვენ მასაც ეპოტინებით, როგორც იარაღს თავის დასაცავად სამართლიანობის ტალღის წინაალმდეგ, იმ სამართლიანობისა, რომელსაც ასეთი სასტიკი სახე მიუღია თქვენის სიცრუისა და პირმოთნეობის წყალობით.

თქვენს გულს არ ამჩნევია კვალი სიყვარულისა, იქ მჭიდროთ მოუკალათებია სამს ას თვალა ჯოჯოს, რომელნიც გულმოდგინედ ჰყარაულობენ თქვენს ძილისებურს სიმშვიდეს და სულის მყუდროებას ცხოვრების ულმობელ შიმშილისა და შემოქმედებითის გრძნობისაგან, თქვენს გულებს ჰფლობს სამი მდევი—სიხარბე, სიმდაბლე, სიცრუე.

არა სცემთ პატივს ადამიანს, როგორ შეგიძლიანთ სხვისი პატივის ცემა, როცა თქვენის თავისთვის ვერ გიციათ პატივი?

მე სრულებით არ ვამართლებ იმ სიმკაცრეს, რომელიც თქვენ ცხოვრების კანონად გაგიხდიათ, მე ვამბობ მხოლოდ, რომ იმ ქვეყანაში, საცა თქვენ ამდენი ხანია ამეფეთ ძალმომრეობა და სიმხეცე, ამ გაუბედურებულ ქვეყანაში თქვენს შორის არ მოიპოვება მართალი, თქვენში არავინ არის ღირსი შებრალებისა...

ა. ლომთათიძე.

# ორი მწერალი

ა. კორნევისა

თუმცა არ მახსოვს, როდის მოხდა, მაგრამ მაინც გიამბობთ ამ გასართობ ისტორიას.

ერთს ქვეყანაში, ერთსა და იმავე ქალაქში ორი მწერალი სცხოვრობდა. ორივე ახალს ამბებსა და მოთხრობებს სწერდა და ხალხსაც ძლიერ მოსწონდა მათი ნაწერი.

მაგრამ ეს მწერლები ერთმანეთს არა ჰგვანდნენ.

ერთი მათგანი მშვიდობიანობაზე სწერდა, ხალხის სტუმართ-მოყვარეობასა და ათას ნაირ სხვა განცხრომაზე.

სწერდა, როგორ შეიყვარა ქალმა ახალგაზდა ყმაწვილი და რა ნაირ განცხრომაში იყვნენ ორნივე ბაღში, ხეების ჩრდილში. სწერდა იმ დედის შესახებ, რომელიც ლამპრის მკრთალ სინათლეზე ღამე აკვანში შვილს ძუძუს აწოვებდა. იგი ოჯახურ ცხოვრებასაც ეხებოდა, იმის ვარამსა და დღესასწაულებზედაც სწერდა. იმასაც ხატავდა ნაწერებში, თუ როგორ იკრიბებოდნენ სტუმრები გულღია მასპინძლისას, როგორ ეხუმრებოდნენ ერთმანეთს და ასე, ამ ნაირად, თუ როგორ ბედნიერად ატარებდნენ დროს.

რაზედაც სწერდა, თავდაპირველად ყველაფერს თვითონ თანაუგრძნობდა, რადგან ძლიერ უყვარდა თავისი გმირები და მათი ცხოვრებაც.

მაგრამ მარტო მათ განცხრომასა და სიყვარულზედაც არა სწერდა იგი. მკითხველებს იმასაც უხსნიდა, რომ ცხოვრება ბრძოლაა, რომ იგი მძიმე და მწარეა, სწერდა, რომ ენანება მკითხველი ცხოვრების ტალღებში მარტოდ-მარტო, უმწეოდ მიგდებული. იმის მოთხრობებში ხალხს სძაგდა გმირები და ეს უკანასკნელნიც ემდუროდნენ ცხოვრებას, იმის სიმკაცრეს და თხოულობდნენ მეტ სიყვარულსა და თანაგრძნობას. ისინი ლაპარაკობდნენ, რომ მოყვასთადმი სიყვარული უნდა ასულდგმულებდეს ცხოვრებას და რომ ისინი არაფერს ამის მსგავსს არა ხედავენ გარეშემო. უკმაყოფილონი სწყევლიდნენ, კრულავდნენ ცხოვრებას და სამწუხარო და მძიმე მოვალეობად სთვლიდნენ.

და როდესაც ყველაფერს ამას კითხულობდნენ მცხოვრებნი, სიყვარულსა და თანაგრძნობას უცხადებდნენ ავტორს კეთილის გულისა და აზრებისთვის.

როცა იმის ნაწერებს კითხულობდნენ, იმათ თავიანთი თავი ენანებოდათ, უფრო აკვირდებოდნენ თავიანთ უნუგეშო მდგომარეობას და ამნაირად უფრო მეტს სიყვარულს ჰგრძნობდნენ თავიანთ თავისა და გარემო პირობების მიმართ.

მეორე მწერალიც უყვარდათ მცხოვრებთ, გულმოდგინედ კითხულობდნენ იმის ნაწერებს და, როდესაც ქუჩაში მიდიოდა, გზას აძლევდნენ და თავს დაბლა უხრიდნენ. უქმე დღეებ-

ში, როცა იგი სასეირნოდ გარედ გადიოდა, თაყვანის მცემელნი ზუზივით ეხვეოდნენ და როცა ჩაფიქრებული ქალაქის რომელსამე მიყრუებულ მოედანზე შეჩერდებოდა, გამალებულნი თვალ-ყურს ადევნებდნენ, უნდოდათ გაეგოთ, რასა შვრებოდა.

პირველ მწერალთან მცხოვრებთ უყვარდათ სჯა-ბაასი და დღესასწაულებზედაც პატიჟობდნენ დროს გასატარებლად. მეორე იმათ თვალში სრულიად არ წააგავდა პირველს და ამ უკანასკნელისა მათ, ცოტა არ იყოს, ეშინოდათ კიდეც: იგი ბევრ რამეში ამტყუნებდა და ამხელდა ხალხს, „მის გულში სრულიად არ იყო მცხოვრებთადმი დანდობა.“

მეორე მწერალი ამნაირად სწერდა:

— მე ახალი სარწმუნოება მომაქვს თქვენთან, სარწმუნოება ცხოვრების სისპეტაკე-სიწმინდისა და შემოქმედებითი ნიჭის თავისუფლებისა. ცხოვრების სისპეტაკე—აი, ჩემი სჯულის დედა აზრი! მაგრამ ჩემს გარშემო მხოლოდ კბილთა [illegible]ენა მესმის... და მე სამსჯავროში ვიწვევ მთელს კაცო[illegible]ბას და ყველა თქვენც... მე თვითონ მივიჟვისე ეს [illegible]ება და ჩემის უფლების ძალაც ამაშია... უნდა განგსა[illegible]ოთ!.. მე გეკითხებით—რა გაგიკეთებიათ მთელი საუკუნოების განმავლობაში? მე თვალ-წინ მიდგას მხოლოდ ვებერთელა წყლული, რომელსაც მირიადობით გარს ახვევიან მწერები... და ამ წყლულს თქვენ ცხოვრებას უწოდებთ... საბრალო, უმნიშვნელო ქმნილებანო! ცხოვრებისა და კეთილ-დღეობის უარჰყოფას კი არ გიქადაგებთ, გიქადაგებთ მის სისრულეს. თქვენ კი ცოტა რამეთი კმაყოფილდებით და პირდაღებულნი შეჰყურებთ სხვებს, ძლიერებს. ამიტომაც ნაკლები დანდობა და სიყვარული გაქვთ ერთმანეთისა; ამიტომაც არის, რომ როცა ერთად იკრიბებით, ერთმანეთის შურითა და სიძულვილით შეჰყურებთ, როგორც მტრები; ამიტომაც არის, რომ ასე ბევრს იგინებით და ძალიან იშვიათია, რომ ვინმე აქოთ. თქვენ ადამიანთა მოძულენი ხართ, გაუმაძღარნი და შურიანები. მოყვასთადმი სიყვარულზედაც ამიტომ კი არ ლაპარაკობთ ხშირად, რომ გულითა გრწამთ და გსურთ იგი, არამედ იმიტომ, რომ თქვენ თვითონ თხოულობთ სიყვარულსა და ყურადღებას მოყვასთაგან, როგორც ავადმყოფები, როგორც ჟინიანი ბავშვები. და როდესაც გაიძახით ცხოვრება მძიმეა, კაცობრიობა-კი უგულოო, მე არა-თუ მცხვენია ამისი განმეორება, გაგონებაც კი მეზიზღება. თქვენ გონიათ, რომ იტანჯებით, მაგრამ ეგ იმიტომაა, რომ ცხოვრებამ გაგრიყვნათ და ქინძისთავის პატარა კბენა სასიკვდილო ჭრილობად მიგაჩნიათ. ადამიანურ ცხოვრების ბედნიერება მის თავისუფლად მოწყობის ნიჭშია; თქვენ-კი მხოლოდ თქვენს ტყავზე ჰფიქრობთ... მე გკითხავთ—აზრით მაინც არ გინატრიათ გამბედაობა-ახოვნება, სიამპარტავნე და სიძლიერე? ან იქნება შემოქმედებისი ნიჭი საუკუნოდ გაჰქრა თქვენში? ადამიანი გმირი უნდა იყოს, რომ ადამიანის სახელის ტარების ღირსი გახდეს, და თუ თქვენ ასე მხდალები, ულონონი და უძლურნი ხართ, რომ გმირებათ ვერ ვარგიხართ—მით უარესი თქვენთვის! დაიღუპებით... მაგრამ ვიცი, მრწამს კიდევაც, რომ თქვენს ადგილას სხვები ჩადგებიან, მძლავრის მკლავით, უდრეკის ხასიათითა და გულით... ისინი მოსვლისთანავე ახალს, ბრწყინვალესა და ბედნიერს ცხოვრებას შეჰქმნიან და—თავიანთ დროშასაც მაღლა აპართავენ... ისინი დროის შვილები იქნებიან და შემოქმედებითი ნიჭიც ძლიერი იქნება მათში... ღონე, გამბედაობა სამოქმედოდ საჭირო, უხვად მოეპოვებათ მათ. მე მრწამს ეს, მრწამს, რომ ისინი მოვლენ, რადგან ეს რომ არა მრწამდეს, ჩემი ცხოვრება არად ეღირებოდა...

ასე ამხელდა იგი მცხოვრებთ და ამ უკანასკნელთაც უყვარდათ იმის ყურის გდება...

. . . . . . . . . . .

**მ. კინწურაშვილი.**

(დასასრული იქნება)




— ჩემო ძმაო, მეორე ქუჩაშიაც დაშვებულა ძველი ბოძი, საშიშია ქვეშ არავინ მოიყოლოს!..

— ეჰ, ეხლა ისეთი დროა, რომ ყველა ძველი ბოძები უნდა წაიქცნენ!..

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი